სსიპ-ებსა და დამოუკიდებელ უწყებებში 2020 წელს გაცემული

პრემიები და სახელფასო დანამატები



Supported by
Luminate
Building stronger societies

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია Luminate-ის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და ბლოგპოსტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Luminate-ის პოზიციას

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 4
შესავალი 5
საშტატო თანამშრომლებზე გაცემული პრემიები და დანამატები 6
შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემული პრემიები და დანამატები 9
თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიები და დანამატები 11
ფულადი ჯილდოების (პრემიები) და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობა 13
დასკვნა 16

ძირითადი მიგნებები

- 2020 წელს, კვლევის ობიექტი 77 უწყებიდან, საშტატო თანამშრომლებზე ფულადი ჯილდო (პრემია) ან/და სახელფასო დანამატი გაიცა 44 საჯარო დაწესებულებაში - სულ 21.5 მილიონი ლარი, საიდანაც ფულადი ჯილდოს (პრემია) ოდენობაა – 9.5 მილიონი ლარი, ხოლო სახელფასო დანამატის - 12 მილიონი ლარი.

- 2020 წელს სსიპ-ებსა და სხვა დამოუკიდებელ უწყებებში გაცემული ფულადი ჯილდოების (პრემია) და სახელფასო დანამატის უდიდესი ნაწილი მოდის ისეთ უწყებებზე, რომლებზეც არ ვრცელდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონის მოქმედება.

- 2020 წელს ყველაზე მეტი თანხა საშტატო თანამშრომლებზე ფულადი ჯილდოს (პრემიის) სახით გასცეს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (5.5 მილიონი ლარი) და ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (3 მილიონი); ხოლო სახელფასო დანამატის სახით - საქართველოს პროკურატურამ (3.5 მილიონი ლარი) და სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა - (2.3 მილიონი ლარი).

- ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ და 4-მა წევრმა 2020 წელს პრემიის სახით მიიღეს სულ 218,176 ლარი. კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის 3-მა წევრმა 2020 წელს ჯამში 128,208 ლარი, ხოლო ეროვნული ბანკის ორმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯამში 94,760 ლარი.

- საქართველოს პროკურატურაში, თანამდებობის პირებზე სახელფასო დანამატის სახით გაიცა - 731,630 ლარი, ხოლო სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში - 228,440 ლარი.

- 2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს თანამდებობის პირებზე ფულადი ჯილდო ან დანამატი აღარ გაუცია. მაშინ როდესაც, 2019 წლის ივლისის თვეში გენერალური აუდიტორის მოადგილეებზე ფულადი ჯილდოს სახით გაიცა თანამდებობრივი სარგოს ოთხმაგი ოდენობა, ხოლო დეკემბრის თვეში - ხუთმაგი ოდენობა.

- პანდემიასთან ბრძოლაში ჩართული უწყებების თანამშრომლებს, IDFI-ს შეფასებით, არ ეძლევათ მათ მიერ გაწეული ზეგანაკვეთური შრომის ადეკვატური ანაზღაურება. მაგალითად, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომლებზე, 2020 წელს ფულადი ჯილდოს და სახელფასო დანამატის სახით გაცემულია მხოლოდ წლიური სარგოს 6%.

- კვლევის ობიექტი 100 საჯარო დაწესებულებიდან კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის მოწოდება მხოლოდ 77-მა უწყებამ უზრუნველყო.

შესავალი

2018 წელს ძალაში შევიდა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც განისაზღვრა საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების საკითხი. კანონის მიხედვით, მნიშვნელოვნად შეიზღუდა პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემა. კერძოდ, წლის განმავლობაში გაცემული სახელფასო დანამატის მაქსიმალური ოდენობა, წლიური სარგოს 20%-ით, ხოლო ფულადი ჯილდო (პრემია) - წლიური სარგოს 10%-ის ოდენობით შემოიფარგლა. ამასთან, სახელმწიფო-პოლიტიკურ და პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე როგორც სახელფასო დანამატების, ასევე პრემიების (ფულადი ჯილდო) გაცემა აიკრძალა. ახალი კანონის პირობებში, პრემიებსა და სახელფასო დანამატებზე დაწესებული შეზღუდვების ფონზე, შრომის ანაზღაურების სამართლიანი სისტემის ფორმირების პროცესში, გამოწვევად იქცა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის კოეფიციენტების ახალი სისტემა. 2018 წლის შემდეგ, IDFI-ს მიერ ჩატარებული კვლევები აჩვენებდა, რომ ახალი კანონის მოქმედების პირობებშიც თანამდებობის პირების უმეტესობას, თანამდებობრივი სარგოს სახით შეუნარჩუნდათ იმ ოდენობის შრომის ანაზღაურება, რაც წლების განმავლობაში გაიცემოდა ქაოტური სახელფასო პოლიტიკის პირობებში.

ამასთან, ამ კანონის მოქმედება არ გავრცელდა მთელ რიგ უწყებებზე და თანამდებობებზე. მაგალითად, ძალოვანი უწყებების სამხედრო და სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებზე, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრებსა და აპარატის თანამშრომლებზე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებზე და მოსამსახურეებზე და სხვა.

2020 წელს, საჯარო დაწესებულებებში ფულადი ჯილდოების (პრემია) და სახელფასო დანამატების გაცემის თვალსაზრისით, კანონმდებლობით დაწესებულ შეზღუდვებთან ერთად, მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი უნდა გამხდარიყო კორონავირუსის პანდემიით შექმნილი კრიზისული მდგომარეობა. საქართველოს ხელისუფლება პანდემიით განპირობებული ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების მიზნით, აანონსებდა ადმინისტრაციული ხარჯების მაქსიმალურ შემცირებას.

პანდემიის პერიოდში საჯარო დაწესებულებებში ფულადი ჯილდოების (პრემიების) და სახელფასო დანამატების გაცემის პრაქტიკის შესწავლის მიზნით, IDFI-მ განახორციელა აქტიური მონიტორინგი. კერძოდ, საჯარო დაწესებულებებიდან დროის სხვადასხვა პერიოდში ორ ეტაპად (2020 წლის საწყისი და შემდეგი 6 თვის მონაცემები) მოითხოვა თანამდებობის პირებზე, საშტატო და შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ საჯარო ინფორმაცია.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, წარმოდგენილია საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის და სხვა დამოუკიდებელი უწყებებისთვის (მარეგულირებელი ორგანოები და სხვა) გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების ანალიზი. კერძოდ, კვლევის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები გაეგზავნა 100 უწყებას, საიდანაც კვლევის მიზნებისთვის მეტნაკლებად სრულყოფილი პასუხი მიღებულია 77 უწყებიდან.

საშტატო თანამშრომლებზე გაცემული პრემიები და დანამატები

77 საჯარო დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2020 წელს საშტატო თანამშრომლებზე ფულადი ჯილდო (პრემია) ან/და სახელფასო დანამატი გაიცა 44 საჯარო დაწესებულებაში. სულ ამ უწყებებში ფულადი ჯილდოს (პრემია) და სახელფასო დანამატის სახით გაცემულია 21.5 მილიონი ლარი, საიდანაც ფულადი ჯილდოს (პრემია) ოდენობაა– 9.5 მილიონი ლარი, ხოლო სახელფასო დანამატის - 12 მილიონი ლარი.

2020 წელს სსიპ-ებსა და სხვა დამოუკიდებელ უწყებებში გაცემული ფულადი ჯილდოების (პრემია) და სახელფასო დანამატის უდიდესი ნაწილი მოდის ისეთ უწყებებზე, რომლებზეც არ ვრცელდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონის მოქმედება. მაგალითად, ყველაზე მეტი თანხა საშტატო თანამშრომლებზე ფულადი ჯილდოს პრემიის სახით გასცეს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (5.5 მილიონი ლარი), ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ - 3 მილიონი ლარი და კომუნიკაციების კომისიამ - 0.8 მილიონი ლარი.

2020 წელს სახელფასო დანამატის სახით ყველაზე დიდი თანხა გაიცა ასევე, ისეთ უწყებებში რომლებზეც არ ვრცელდება კანონით განსაზღვრული შეზღუდვები - საქართველოს პროკურატურა (3.5 მილიონი ლარი) და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - (2.3 მილიონი ლარი).

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონის მოქმედების ქვეშ მყოფ უწყებებს შორის, საშტატო თანამშრომლებზე ყველაზე დიდი თანხა (1 მილიონი ლარი) სახელფასო დანამატის სახით გაიცა სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ. **უწყების განმარტებით დანამატები წარმოადგენს დონორი ორგანიზაციის მიერ, ტერიტორიული ადმინისტრაციის თანამშრომელზე გაცემულ თანხებს.** აღნიშნული თანხა ასევე მოიცავს ალგეთის ეროვნული პარკის ხანძრის ლიკვიდაციის პროცესში მონაწილეობის გამო გაცემულ სახელფასო დანამატს - 5,700 ლარი. (აქედან დონორი ორგანიზაციის თანხები 5,400 ლარი, საკუთარი სახსრები 300 ლარი).

2020 წელს, პანდემიის მართვაზე ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებელი უწყების სსიპ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ფულადი ჯილდოს სახით გაცემულია სულ 15,500 ლარი, ხოლო სახელფასო დანამატის სახით 354,330 ლარი. აღნიშნული თანხა შეადგენს წლიური სარგოს მხოლოდ 6%-ს, რაც IDFI-ს შეფასებით ვერ ჩაითვლება პანდემიის პირობებში ამ უწყების თანამშრომლების მიერ გაწეული ზეგანაკვეთური შრომის ადეკვატურ ანაზღაურებად.

2020 წელს საშტატო თანამშრომლებზე გაცემული ფულადი ჯილდოები (პრემია) და დანამატები

საჯარო დაწესებულება	**ფულადი ჯილდო (პრემია)**	**სახელფასო დანამატი**	**სულ**
ეროვნული ბანკი	5,518,512	0	**5,518,512**
პროკურატურა	3,125	3,520,972	**3,524,097**
ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	2,977,311	0	**2,977,311**
სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	0	2,326,715	**2,326,715**
დაცული ტერიტორიების სააგენტო	0	1,043,047	**1,043,047**

კომუნიკაციების კომისია	771,101	5,994	**777,095**
ცენტრალური საარჩევნო კომისია	0	736,548	**736,548**
სოციალური მომსახურების სააგენტო	0	723,791	**723,791**
სახელმწიფო აუდიტის სამსახური	0	392,316	**392,316**
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	15,500	338,830	**354,330**
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	21,000	292,774	**313,774**
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	0	305,180	**305,180**
ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური	6,765	250,974	**257,739**
სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	0	243,744	**243,744**
ფინანსური მონიტორინგის სამსახური	48,180	184,682	**232,862**

2020 წელს საშტატო თანამშრომლებზე ფულადი ჯილდოსა და პრემიის სახით ყველაზე დიდი თანხის გამცემი უწყებების მაჩვენებლების, წინა წელთან შედარება აჩვენებს, რომ ცალკეული უწყებების შემთხვევაში პანდემიით გამოწვეულ მდგომარეობას მათ სახელფასო პოლიტიკაზე გავლენა არ მოუხდენია. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2019 წელს ფულადი ჯილდოს სახით გაცემული იყო 4.9 მილიონი ლარი, რაც 2020 წელს 12%-ით (5.5 მილიონ ლარამდე) გაიზარდა. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის შემთხვევაში, 2019 წელს გაცემული იყო 2.7 მილიონი ლარი, რაც 2020 წელს 11%-ით (3 მილიონ ლარამდე) გაიზარდა.



შენიშვნა: გრაფიკზე არ არის ასახული სოციალური მომსახურების სააგენტოს და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მონაცემები, ვინაიდან მათ მიერ 2019 წლის მონაცემები არ იქნა მოწოდებული.

ზემოთ ჩამოთვლილი უწყებებიდან, 2020 წელს წინა წელთან შედარებით გაცემული ფულადი ჯილდოების (პრემია) ოდენობა ყველაზე მეტად შემცირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში. აღნიშნული, შემცირება უმეტესწილად განპირობებულია იმ ფაქტით რომ, 2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს თანამდებობის პირებზე ფულადი ჯილდო ან დანამატი აღარ გაუცია. მაშინ როდესაც, 2019 წლის ივლისის თვეში გენერალური აუდიტორის მოადგილეებზე ფულადი ჯილდოს სახით გაიცა თანამდებობრივი სარგოს ოთხმაგი ოდენობა, ხოლო დეკემბრის თვეში ხუთმაგი ოდენობა. დეპარტამენტების უფროსების შემთხვევაშიც ამ თვეებში გაცემული ფულადი ჯილდოები მათ ყოველთვიურ თანამდებობრივ სარგოს 2-ჯერ ან 3-ჯერ აღემატებოდა.

2019 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული ფულადი ჯილდოს ოდენობა

თვეების მიხედვით

N	სახელი	გვარი	თანამდებობა	ივლისი	დეკემბერი	ჯამი
1	ერეკლე	მექვაბიშვილი	გენერალური აუდიტორი	-	-	-
2	დავით	გოგიჩაიშვილი	გენერალური აუდიტორის მოადგილე	26 400	33 000	59 400
3	ეკატერინე	ღაზამე	გენერალური აუდიტორის მოადგილე	26 400	33 000	59 400
4	ნოდარ	ჯავახიშვილი	გენერალური აუდიტორის მოადგილე	26 400	33 000	59 400
5	გიორგი	გაჩეჩილაძე	დეპარტამენტის უფროსი	12 100	11 000	23 100
6	ალექსანდრე	გოგოლაშვილი	დეპარტამენტის უფროსი	12 000	12 000	24 000
7	გიორგი	კაპანაძე	დეპარტამენტის უფროსი	11 000	11 000	22 000
8	ცოტნე	ქარქაშაძე	დეპარტამენტის უფროსი	16 500	11 000	27 500
9	ვაჟა	ბრაგვაძე	ადმინისტრაციის უფროსი	11 000	11 000	22 000
10	სოფიო	დვალიშვილი	დეპარტამენტის უფროსი	16 980	16 875	33 855

შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემული პრემიები და დანამატები

საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ კანონის მიხედვით, ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე, დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში, შესაძლებელია გაიცეს როგორც სახელფასო დანამატი, ასევე ფულადი ჯილდო.

2020 წელს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე (შტატგარეშე თანამშრომელი) გაცემული ფულადი ჯილდოების (პრემიების) და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაცია IDFI-ს მიაწოდა 74-მა უწყებამ. მიღებული ინფორმაციის მიხედვით ამ უწყებებიდან, 2020 წელს შტატგარეშე თანამშრომლებზე ფულადი ჯილდო (პრემია) ან/ და სახელფასო დანამატი გასცა 41-მა საჯარო დაწესებულებამ - სულ 12.7 მილიონი ლარი. ამ თანხის 77% (9.8 მილიონი ლარი) ათვისებულია საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ.

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი წარმოადგენს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიმწოდებელს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ცენტრში დასაქმებულია 4,359 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (სადისპეტჩერო, ექიმები, უმცროსი ექიმები, ექთნები, მძღოლები), ხოლო სოფლის ექიმის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით დაკონტრაქტებულია 2,665 სოფლის ექიმი და სოფლის ექთანი. **შესაბამისად, აღნიშნული თანხა უმეტესწილად წარმოადგენს კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით სამედიცინო ბრიგადებისთვის გამოყოფილ მატერიალურ წახალისებას.**

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შტატგარეშე თანამშრომლებზე ხელფასის სახით (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება) 2020 წელს გაცემულია 55 მილიონი ლარი. შესაბამისად, 2020 წელს მათ მატერიალურ წახალისებაზე დამატებით გაცემულია წლიური სახელფასო ფონდის დაახლოებით 18%.

სხვა უწყებებს შორის, შტატგარეშე თანამშრომლებზე ყველაზე დიდი თანხა (723,275 ლარი) ფულადი ჯილდოს (პრემია) სახით გაიცა საქართველოს ეროვნულ ბანკში.

2020 წელს შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემული ფულადი ჯილდოები (პრემია) და დანამატები

საჯარო დაწესებულება	**ფულადი ჯილდო (პრემია)**	**სახელფასო დანამატი**	**სულ**
საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი	4,023,464	5,814,145	9,837,609
ეროვნული ბანკი	723,275	0	723,275
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო	0	547,794	547,794
სოციალური მომსახურების სააგენტო	0	378,601	378,601
საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური	0	155,908	155,908
ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	268,106	0	99,818
ცენტრალური საარჩევნო კომისია	0	85,620	85,620

საქართველოს პროკურატურა	0	84,618	84,618
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	0	83,180	83,180
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	6,250	71,220	77,470

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიაში 2020 წელს შტატგარეშე თანამშრომლებზე პრემიის სახით გაიცა 268,106 ლარი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2020 წლის იანვრის, აგვისტოს და ნოემბრის თვეებში შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემული პრემია აღემატება მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობას. ხოლო მარტში, ივნისში, სექტემბერში და დეკემბერში გაიცა ე.წ კვარტალური პრემიები დაახლოებით თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

დანართი №3

2020 წელს შტატგარეშე მომუშავე თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგო და პრემია

		2020 წ		
№	თვე	თანამდებობრივი სარგო	პრემია	დანამატი
1	იანვარი	27,370.00	40,560.00	-
2	თებერვალი	29,770.00	-	-
3	მარტი	29,770.00	29,488.21	-
4	აპრილი	29,770.00	-	-
5	მაისი	29,770.00	-	-
6	ივნისი	29,770.00	29,770.00	-
7	ივლისი	30,070.00	-	-
8	აგვისტო	29,470.00	52,500.00	-
9	სექტემბერი	32,270.00	30,616.15	-
10	ოქტომბერი	35,773.93	-	-
11	ნოემბერი	31,217.50	54,000.00	-
12	დეკემბერი	32,390.00	31,171.26	-
	სულ	367,411.43	268,105.62	

2020 წელს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემული შრომის ანაზღაურება.

თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიები და დანამატები

საჯარო სამართლის იურიდიული პირების და კვლევის ობიექტი სხვა დამოუკიდებელი უწყებების ხელმძღვანელი პირები, არ წარმოადგენენ სახელმწიფო-პოლიტიკურ ან პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, შესაბამისად მათზე ფულადი ჯილდოების და სახელფასო დანამატების გაცემა კანონმდებლობით სრულად არ არის შეზღუდული. ამასთან, იმ უწყებების შემთხვევაში რომლებზეც არ ვრცელდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონის მოქმედება, თანამდებობის პირებზეც პრემიების და დანამატების გაცემა დამოკიდებულია შიდა სახელფასო პოლიტიკაზე.

2020 წელს, თანამდებობის პირებზე გაცემული ფულადი ჯილდოების (პრემიების) და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაცია IDFI-ს მიაწოდა 77-მა უწყებამ. მიღებული ინფორმაციის მიხედვით 77 უწყებიდან, 48 უწყების თანამდებობის პირებზე 2020 წელს სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო საერთოდ არ გაცემულა, ხოლო დანარჩენი 29 უწყების თანამდებობის პირებზე ჯამში გაიცა 1.7 მილიონი ლარი.

კვლევის ობიექტ უწყებებს შორის, 2020 წელს ყველაზე დიდი თანხა, თანამდებობის პირების შემთხვევაშიც, როგორც ფულადი ჯილდოს (პრემია) ასევე სახელფასო დანამატის სახით გაიცა ისეთ უწყებებში რომელზეც არ ვრცელდება კანონის შეზღუდვები. მაგალითად, საქართველოს პროკურატურაში, თანამდებობის პირებზე სახელფასო დანამატის სახით გაიცა - 731,630 ლარი , ხოლო სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში - 228,440 ლარი. საქართველოს პროკურატურის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ, თანამდებობის პირებზე გაცემული სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაცია მოწოდებულია მხოლოდ ჯამური სახით, შესაბამისად როგორ გადანაწილდა აღნიშნული თანხა თითოეულ თანამდებობის პირზე IDFI-სთვის უცნობია. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის განმარტებით აღნიშნული თანხა გადანაწილდა 87 პირზე, რაც საშუალოდ წლის განმავლობაში 2,625 ლარს შეადგენს.

2020 წელს თანამდებობის პირებზე ფულადი ჯილდოს (პრემია) სახით ყველაზე მეტი თანხა გაიცა მარეგულირებელ კომისიებში და ეროვნულ ბანკში. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ და 4-მა წევრმა 2020 წელს პრემიის სახით მიიღეს სულ 218,176 ლარი. კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის 3-მა წევრმა 2020 წელს ჯამში 128,208 ლარი, ხოლო ეროვნული ბანკის ორმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯამში 94,760 ლარი მიიღეს **(ეროვნული ბანკის პრეზიდენტზე არც პრემია და არც სახელფასო დანამატი არ გაცემულა)**.

2020 წელს თანამდებობის პირებზე გაცემული ფულადი ჯილდოები (პრემია) და დანამატები

საჯარო დაწესებულება	**ფულადი ჯილდო (პრემია)**	**სახელფასო დანამატი**	**სულ**
საქართველოს პროკურატურა	0	731,630	731,630
სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	0	228,440	228,440
ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	218,176	0	218,176

კომუნიკაციების კომისია	128,208	0	128,208
ეროვნული ბანკი	94,760	0	94,760
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	0	87,600	87,600
ფინანსური მონიტორინგის სამსახური	12,540	32,910	45,450
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	0	30,800	30,800
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	0	18,000	18,000
ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	9,459	5,770	15,229

თანამდებობის პირებზე გაცემული ფულადი ჯილდოები (პრემიები) თვეების მიხედვით

საჯარო დაწესებულება		სახელი, გვარი	I	III	IV	VI	VII	VIII	IX	XI	XII	სულ
ეროვნული ბანკი	ვიცე პრეზიდენტი	არჩილ მესტვირიშვილი	11670		12020		11670				12020	**47380**
	ვიცე პრეზიდენტი	პაპუნა ლეჟავა	11670		12020		11670				12020	**47380**
ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია	კომისიის თავმჯდომარე	დავით ნარმანია	3000	12000		12000		3000	12000	3000		**45000**
	კომისიის წევრი	გოჩა შონია	3000	11900		11900		3000	11900	3000		**44700**
	კომისიის წევრი	გიორგი ფანგანი	3000	11900		11900	11900	3000	11900	3000		**56600**
	კომისიის წევრი	მაია მელიქიძე	3000	12027		6148		3000		3000		**27175**
	კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე	3000	11900		11900		3000	11900	3000		**44700**
კომუნიკაციების კომისია	კომისიის თავმჯდომარე	კახი ბექაური						16650			16650	**33300**
	კომისიის წევრი	ვახტანგ აბაშიძე						15818			15818	**31636**
	კომისიის წევრი	ელისო ასანიძე						15818			15818	**31636**
	კომისიის წევრი	მერაბ ქათამაძე						15818			15818	**31636**
ფინანსური მონიტორინგის სამსახური	სამსახურის უფროსი	ვალერიან ხასაშვილი		4500				3000	7500	1250		**16250**
	უფროსის მოადგილე	რატი გედიანიძე		4020				2680	6700	1200		**14600**

2020 წელს, თანამდებობის პირებზე გაცემული სახელფასო დანამატებით ასევე, გამოირჩა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოც, სადაც თანამდებობის პირებს სახელფასო დანამატის სახით მიღებული აქვთ სულ 30,000 ლარი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული თანხა დირექტორსა და მის 4 მოადგილეზე გაიცა იანვარი-მარტის თვეებში. აპრილის თვის შემდეგ, სავარაუდოდ პანდემიით განპირობებული სიტუაციის გათვალისწინებით, აღნიშნულ უწყებაში თანამდებობის პირებზე ყოველთვიური სახელფასო დანამატების გაცემის პრაქტიკა შეწყდა.

სსიპ-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის განმავლობაში თანამდებობის პირებზე დარიცხული დანამატების შესახებ

1	დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
	გენერალური დირექტორი ანთიძე ნიკოლოზ	2700	3650	2700	3000	3000	3000	2500		1000	1000	1000	6750
	გენერალური დირექტორის მოადგილე გაფრინდაშვილი პაატა	2600	2600	2600	2600	2600	2600	2600	2600	2600	2600	2600	4900
	გენერალური დირექტორის მოადგილე ღომიტაშვილი დავით	2600	2600	2600	2600	2600	2700	2600	2600	2600	2600	2600	4900
	გენერალური დირექტორის მოადგილე დოლიძე პაატა	2600	3550	2600	2600	2600	2600	2600	2600	2600	2600	2600	4900
	გენერალური დირექტორის მოადგილე ყიფიანი ნუგზარ	2600	2600	2600	2600	2600	2600	2920	2600	2600	2600	2600	4900

სსიპ-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წლის 6 თვეში თანამდებობის პირებზე დარიცხული დანამატების შესახებ

დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
გენერალური დირექტორი ანთიძე ნიკოლოზ	1000	1000										
გენერალური დირექტორის მოადგილე გაფრინდაშვილი პაატა	2600	2600	2000									
გენერალური დირექტორის მოადგილე ღომიტაშვილი დავით	2600	2600	2000									
გენერალური დირექტორის მოადგილე დოლიძე პაატა	2600	2600	2000									
გენერალური დირექტორის მოადგილე ყიფიანი ნუგზარ	2600	2600	2000									

ფულადი ჯილდოების (პრემიები) და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობა

2020 წელს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში და სხვა დამოუკიდებელ უწყებებში გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის პრაქტიკის სრულფასოვანი კვლევისთვის მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა მთელი რიგი დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, კვლევის ობიექტი 100 საჯარო დაწესებულებიდან, კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის მოწოდება მხოლოდ 77-მა უწყებამ უზრუნველყო. დანარჩენი უწყებების შემთხვევაში IDFI-ს მოთხოვნები ან უპასუხოდ იყო დატოვებული ან მოწოდებული ინფორმაცია არ პასუხობდა კვლევის მიზნებს. მაგალითად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ მოთხოვნაზე IDFI-ს განუმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა მათ პერსონალურ მონაცემებს, ხოლო საშტატო და შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემული ჯამური თანხების შესახებ პასუხის გაცემას თავი აარიდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების უმრავლესობის მიერ, IDFI-სთვის მოწოდებულია სარგოს, პრემიის და დანამატის დაჯამებული მონაცემები, რაც არ იძლევა ამ უწყებებში 2020 წელს თანამშრომელთა მატერიალური წახალისების პოლიტიკის შესწავლის შესაძლებლობას.

ინფორმაცია სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ 2020 წლის განმავლობაში გაცემული თანამდებობრივი სარგოს, ფულადი ჯილდოს (პრემიის) და დანამატის შესახებ

ლარში

2020 წლის I, II, III და IV კვარტალი	
დასახელება	**დარიცხვა**
თანამდებობის პირებზე	**205 854,58**
სხვა თანამშრომლებზე	**56 378 527,73**
ჯამი:	**56 584 382,31**
შტატგარეშე ხელშეკრულება	**2 661 902,86**

Page 1

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მოწოდებული 2020 წელს გაცემული სარგოს, პრემიის და დანამატის შესახებ ჯამური მონაცემები.

საქართველოს კანონმდებლობით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის გზით მსგავსი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობის გარდა, საჯარო დაწესებულებებს 2013 წლიდან გააჩნიათ პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულება. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილება, რომელიც ვრცელდება კვლევის ობიექტ უწყებების უმრავლესობაზე, საჯარო დაწესებულებებს ავალდებულებს კვარტალურად გამოაქვეყნონ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) გაცემული სარგოების, პრემიების და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაცია. **IDFI-მ კვლევის ფარგლებში შეისწავლა ყველა იმ უწყების ვებ-გვერდი რომელმაც, IDFI-ს მოთხოვნები არ დააკმაყოფილა.** ყველა შემთხვევაში, ვებ-გვერდზე ან არ იყო მსგავსი ინფორმაცია წარმოდგენილი/განახლებული, ან გამოქვეყნებული იყო არასრულყოფილი ფორმით. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებს ვებ-გვერდზეც გამოქვეყნებული აქვს სარგოს, დანამატების და პრემიების დაჯამებული მონაცემები.

ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების შესახებ

2020 წლის I, II, III და IV კვარტალი

დასახელება	დარიცხვა	
	საკუთარი	სახელმწიფო ბიუჯეტი
თანამდებობის პირებზე	450,219.62	0
სხვა თანამშრომლებზე	77.144.759.52	8,675,050.44
ჯამი:	77,594,979.14	8,675,050.44
შტატგარეშე ხელშეკრულება	1,382,720.32	43,191.48

2020 წელს დეპარტამენტის თანამდებობის პირებზე გაცემულმა სარგომ, პრემიის და დანამატის ოდენობამ შეადგინა - 450 219.62 ლარი.

დეპარტამენტის სხვა თანამშრომლებზე გაცემულმა სარგომ, პრემიის და დანამატის ოდენობამ 2020 წელს შეადგინა - 85 819 810 ლარი.

შტატგარეშე თანამშრომლების შრომის ანაზღაურებამ 2020 წელს შეადგინა - 1 425 912 ლარი.

დაცვის პოლიციის მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია	დაცვის პოლიციის მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად გამოგზავნილი ინფორმაცია

საჯარო დაწესებულებებში პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკის შესწავლის და საზოგადოების ინფორმირების კუთხით, წლების განმავლობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სახელმწიფო აუდიტის სამსახური. მაგალითად, 2017 წელს შექმნილი ელექტრონული პორტალი ბიუჯეტის მონიტორი, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევდა სახელმწიფო ბიუჯეტის განმკარგავი საჯარო დაწესებულებების მიერ გაწეული ადმინისტრაციული ხარჯების, მათ შორის პრემიებისა და სახელფასო დანამატების, შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გაცნობის შესაძლებლობას. **სამწუხაროდ, აღნიშნულ პორტალზე მსგავსი მონაცემები ბოლო ერთი წლის განმავლობაში აღარ განახლებულა და უახლესი მონაცემები ხელმისაწვდომია 2020 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით.**



2018 წლამდე, ასევე, საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების არსებული პრაქტიკის და მისი ნაკლოვანებების შესახებ, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი იყო სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებები. სადაც, ცალკე თავი ეთმობოდა საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების არსებული პრაქტიკის მიმოხილვას და შესაბამის რეკომენდაციებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მხარჯავი დაწესებულებების მიერ შრომის ანაზღაურების სახით გაცემული საბიუჯეტო სახსრების ანალიზისას გამოვლენილ იქნა სხვა რიგი გარემოებები. კერძოდ, მიუხედავად მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილებით განსაზღვრული ლიმიტებისა, გარკვეულ შემთხვევებში ადგილი აქვს პრემიისა და დანამატის თანამდებობრივ სარგოზე მეტი ოდენობითა და ზღვრულ რაოდენობაზე მეტი სიხშირით გაცემის ფაქტებს.
ამონარიდი, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებ

2018 წლის შემდეგ, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების შესახებ მოხსენებებში ნაკლები ყურადღება ეთმობა, შრომის ანაზღაურების შესახებ არსებული პრაქტიკის მიმოხილვას. აღნიშნული, ერთის მხრივ შესაძლებელია განპირობებული იყოს 2018 წლიდან „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედებით და საკითხის გარკვეული მოწესრიგებით. თუმცა, მეორეს მხრივ სახელმწიფო კონტროლის შესუსტება წარმოშობს პრემიებისა და სახელფასო დანამატების უსისტემო გაცემის პრაქტიკის დაბრუნებას. ამ კუთხით ასევე გარკვეულ კითხვებს აჩენს, 2019 წელს თავად სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ფულადი ჯილდოების გაცემაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 2019 წლის ივლისის თვეში გენერალური აუდიტორის მოადგილეებზე ფულადი ჯილდოს სახით გაიცა თანამდებობრივი სარგოს ოთხმაგი ოდენობა, ხოლო დეკემბრის თვეში ხუთმაგი ოდენობა. აღნიშნული ფაქტი, მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება აუდიტის სამსახურის მიერ წლების განმავლობაში საჯარო დაწესებულებებისათვის გაცემულ რეკომენდაციებს.

დასკვნა

2020 წელს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში და სხვა დამოუკიდებელ უწყებებში ფულადი ჯილდოებისა და სახელფასო დანამატების გაცემის პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისი არაერთგვაროვნად აისახა სხვადასხვა უწყების სახელფასო პოლიტიკაზე. კვლევაში განხილული საჯარო დაწესებულებების მაგალითზე, განსაკუთრებულ პრობლემად შესაძლებელია შეფასდეს იმ უწყებების სახელფასო პოლიტიკა, რომლებზეც არ ვრცელდება საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ კანონის მოქმედება. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკის და მარეგულირებელი ორგანოების მიერ 2020 წელს წარმოებული სახელფასო პოლიტიკა, ნაკლებად თანხვედრაშია, პანდემიის შედეგად ქვეყანაში არსებულ გამოწვევებთან.

ასევე, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, მთელი რიგი საჯარო დაწესებულებების მიერ 2020 წელს გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაციის დამალვა. ინსტიტუტი მიიჩნევს რომ, ასეთი მონაცემების დაფარვის მიზეზი შესაძლებელია განპირობებული იყოს საზოგადოებრივი უკმაყოფილებისგან თავის არიდების სურვილით. შესაბამისად, ამ უწყებების მიერ 2020 წელს გაცემული ფულადი ჯილდოების (პრემიები) და სახელფასო

დანამატების შესახებ დაფარული მონაცემები შესაძლებელია მნიშვნელოვნად ცვლიდეს კვლევაში მოყვანილ მაჩვენებლებს და ტენდენციებს.

კვლევაში განხილული გარემოებების გათვალისწინებით, IDFI მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას:

- საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფს მის გავრცელებას ყველა საჯარო დაწესებულებაზე.

- პანდემიასთან ბრძოლაში ჩართულ უწყებებს მიეცეთ სახელფასო ფონდის ზრდის შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა ზეგანაკვეთური სამუშაოს ადეკვატურ ანაზღაურებას.

- საჯარო დაწესებულებებმა უზრუნველყონ, გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უზრუნველყოს საჯარო დაწესებულებებში არსებული სახელფასო პოლიტიკის ეფექტიანი მონიტორინგი და შესაბამისი ინფორმაციით საზოგადოების თანმიმდევრული ინფორმირება.